



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 26

ქ. თბილისი

24/01/2017

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე-ტექნიკური მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) თავმჯდომარის გიორგი სეთურიძის უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

- ა) დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები;
- ბ) იურიდიული სამსახური;
- გ) საგზაო მოძრაობის რეგულირების სამსახური;
- დ) ადმინისტრაციული სამსახური;
- ე) ლოჯისტიკის სამსახური;
- ვ) მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის პროექტების მართვის სამსახური.

2. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის - ტექნიკური მდივნის, ნუგზარ გასვიანის უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

- ა) ტექნიკური სამდივნოს დირექცია;
- ბ) საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახური;
- გ) საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების სამსახური;

დ) საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახური;

ე) ნაპირდაცვის სამსახურის სანაპირო ზოლის მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგის სამმართველო.

3. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე თევდორაძის უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) ფინანსების მართვის სამსახური;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

გ) საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახური;

დ) განსახლების სამსახური.

4. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გივი ჩოჩიას უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახური;

ბ) სარეაბილიტაციო პროექტების მართვის სამსახური;

გ) გარემოს დაცვის სამსახური;

დ) ნაპირდაცვის სამსახურის ნაპირდაცვის პროექტების მართვის სამმართველო.

5. დეპარტამენტის თავმჯდომარის დროებით არყოფნის, ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე-ტექნიკური მდივანი.

6. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის - ტექნიკური მდივნისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა მონაცვლეობის წესი და უფლებამოსილება განისაზღვროს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის - ტექნიკური მდივნის ნუგზარ გასვიანის არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის - ტექნიკური მდივნის უფლებამოსილება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გივი ჩოჩიამ;

ბ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გივი ჩოჩიას არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის გივი ჩოჩიას უფლებამოსილება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლმა ალექსანდრე თევდორაძემ.

7. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ალექსანდრე თევდორაძეს მიენიჭოს, დეპარტამენტის სახელით ხელშეკრულებების, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების გააფორმების (ხელის მოწერა), კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეიტანის (ხელმოწერის განხორციელება) და საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების შეწყვეტის, დანართის – შეთანხმების გზით (ხელმოწერის განხორციელება) გაფორმების, მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის გაფორმების (წერილობითი ფორმა) უფლებამოსილება.

8. ამ ბრძანების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების, მათ შორის ხელშეკრულებების, ვიზირებას, დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებთან ერთად, საკურატორო სფეროების მიხედვით ახორციელებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე-ტექნიკური მდივანი ან/და დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისი მოადგილე/მოადგილეები.

9. დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ-ტექნიკურმა მდივანმა და დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისმა მოადგილეებმა განახორციელონ მათ საკურატორო სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელების კოორდინაცია. ამ შემთხვევაში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს-ტექნიკურ მდივანს/თავმჯდომარის შესაბამის მოადგილეს ენიჭება შესაბამის დოკუმენტაციაზე, გარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებებისა, ხელმოწერის უფლებამოსილება.

10. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ-ტექნიკურმა მდივანმა და დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისმა მოადგილეებმა უზრუნველყონ მათ უშუალო საკურატორო სფეროში განსაზღვრული დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

11. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – ტექნიკური მდივანი და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობაზე.

12. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს შორის ფუნქციათა გადანაწილების შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 17 აგვისტოს №165 ბრძანება.

13. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე



